



5608-15-5-2-202006091133



N 15-5/5608

09/06/2020

თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს  
ბატონ მიხეილ ჩინჩალაძეს

### სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრება

ბატონო მიხეილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს მოქალაქე [REDACTED] მიმართ წარმოებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს. თბილისის საქალაქო სასამართლოდან<sup>1</sup> მიღებული იქნა საქმის მასალების სრული ასლები. მოცემულ ეტაპზე საქმეს მისი საჩივრის საფუძველზე განიხილავს თბილისის სააპელაციო სასამართლო.

დოკუმენტაციის სრულყოფილად შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ [REDACTED] საქმე ქართული ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის დამახასიათებელი ფუნდამენტური ხარვეზების ნათელი დადასტურებაა. მოცემული საქმე ასევე ასახავს სასამართლოში დამკვიდრებულ არასწორ პრაქტიკას, რომლის შედეგად მოქალაქეები კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების გარეშე რჩებიან. ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე, მხოლოდ პოლიციელის ჩვენებაზე დაყრდნობით პირის პასუხისგებაში მიცემა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და იწვევს მტკიცების ტვირთის სახელმწიფოდან მოქალაქეზე გადასვლას, რაც უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური მანდატის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩავთვალე, მომემართა სასამართლო მეგობრის მოსაზრებით.

ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე მოსაზრება დაეხმარება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში და შესაძლებელი გახდება იმ სისტემური ხარვეზების პრაქტიკულ დონეზე გამოსწორება, რომელიც დღესდღეობით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოძველებული დებულებებით არის განპირობებული.

**სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართვის უფლებამოსილება**

<sup>1</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის N4/2561-20 წერილი.

მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი“.<sup>2</sup>

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, [...] ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტუტიციო სასამართლოში“.<sup>3</sup>

ვსარგებლობ რა მითითებული ნორმებით მონიჭებული უფლებამოსილებით, წარმოგიდგინებ ჩემს წერილობით მოსაზრებას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. მოსაზრება მიზნად არ ისახავს საქმის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერას.

### **ფაქტობრივი გარემოებები**

2020 წლის 15 აპრილს თბილისში, პეკინის გამზირზე მდებარე სასტუმრო „ჰოლიდი ინ“-ში განთავსებულ საკარანტინო ზონაში, პოლიციელებმა დააკავეს [REDACTED] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით, სასამართლომ დაადგინა, რომ კარანტინში, ანუ დროებით იზოლაციაში მყოფ [REDACTED] პოლიციელებისთვის და პერსონალისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია, თუმცა ადგილი ჰქონდა საკარანტინო ტერიტორიაზე სხვა პირთან ერთად საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას - გინებას.

სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის უტყუარი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა [REDACTED] მხრიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის - პოლიციელებისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს და არ არსებობს ხსენებული მუხლით პასუხიმგებლობის დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, რის გამო საქმის წარმოება შეწყდა. ამასთან, სასამართლომ [REDACTED] სამართალდამრღვევად ცნო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის და სახდელის სახით 1000 ლარის ოდენობით ჯარიმა განუსაზღვრა. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ [REDACTED] ჩაიდინა წვრილმანი ხულიგნობა, რაც გულისხმობს საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინებას, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელ გადაკიდებას და სხვა ამგვარ მოქმედებას, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 15 აპრილის დადგენილება დაცვის მხარემ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

საგულისხმოა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართალდარღვევა დაადგინა ორი პოლიციელის ახსნა-განმარტებისა და ერთ-ერთი მათგანის მიერ შედგენილი ოქმების

<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>3</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონი, 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

საფუძველზე, ასევე, სასამართლომ მიუთითა, რომ „პასუხისგებაში მიცემული პირი დაეთანხმა სამართალდარღვევის ოქმს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ნაწილში“.

გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო სხდომის ოქმის (ვიდეო/აუდიო ჩანაწერი) მიხედვით, [REDACTED] განმარტა, რომ წინა დღეს ძმასთან ერთად ჩამოვიდა ჰოლანდიიდან, რის შემდეგ განათავსეს კარანტინში. ისინი ითხოვდნენ სწრაფი ტესტის ჩატარებას და თვითიზოლაციაში გადასვლას, თუმცა განუცხადეს, რომ ტესტის საფასური თვითონ უნდა გადაეხადათ და ტესტის შედეგის მიუხედავად, კარანტინში უნდა დარჩენილიყვნენ. ისინი ასრულებდნენ ინსტრუქციას (ტემპერატურის გაზომვა) და აანონსებდნენ შიმშილობის დაწყებას. [REDACTED] თქმით, პოლიციისთვის და პერსონალისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ, სიტყვიერი შეურაცხყოფა იყო მთავრობის მისამართით დახურულ ოთახში, რომლის ფანჯრები სრულად არ იღება.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში არ წარდგენილა ნეიტრალური მტკიცებულება, რომელიც სამართალდარღვევის ოქმში მითითებული ქმედებების ჩადენას დაადასტურებდა. პოლიციელებმა განმარტეს, რომ იმყოფებოდნენ დერეფანში, ხოლო [REDACTED] და მისი ძმა ოთახში, და ესმოდათ მათი გინების ხმა ოთახიდან ქუჩის მიმართულებით ფანჯრიდან. მათი განმარტებით, ქვევით იყვნენ სხვა პოლიციელებიც. დამკავებელ პოლიციელებს მისვლა და მოქალაქეებთან კომუნიკაცია გადაღებული ჰქონდათ, თუმცა გინების ფაქტი არ გადაუღიათ, რადგან განმარტეს, რომ დერეფანში იყვნენ, ხოლო [REDACTED] და მისი ძმა ოთახში და ფანჯრიდან აგინებდნენ მათ კოლეგებს და ესმოდათ.

შესაბამისად, [REDACTED] წვრილმანი ხულიგნობისთვის სამართალდამრღვევად ცნობა და პასუხისმგებლობის დაკისრება მისი დამკავებელი პირის და მეწყვილე პოლიციელის ახსნა-განმარტების და დაკავებისა და სამართალდარღვევის ოქმების საფუძველზე განხორციელდა. ხოლო დაკავებული მოქალაქის განმარტებით, საკარანტინე ზონად გამოცხადებული სასტუმროს კარებდახურულ ოთახში, რომლის ფანჯარაც სრულად არ იღებოდა და სადაც პოლიციელები არ იმყოფებოდნენ, გამოთქვამდა პროტესტს. საქმეში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი არ არის პოლიციელების სამხრე კამერებით გადაღებული ფაქტის ამსახველი/დამადასტურებელი ვიდეო ჩანაწერები. გარდა ამისა, არ არის მოპოვებული სხვა მტკიცებულებები, კერძოდ, ქუჩაში მყოფი პოლიციელების, ასევე, ოთახში მყოფი მე-2 პირის ახსნა-განმარტება; შემთხვევის ადგილზე სხვა პირების: საკარანტინე ზონაში განთავსებული მოქალაქეების, სამედიცინო მუშაკების და სხვა პერსონალის ყოფნის საკითხი არ დადგენილა და არც მათი დაკითხვა მომხდარა სასამართლოზე. ამდენად, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება.

### **სამართლებრივი შეფასება**

საქართველოს კონსტიტუცია სამართლიანი სასამართლოს უფლებრივი ქოლგის ქვეშ სხვადასხვა გარანტიებს მოიაზრებს. მიუხედავად იმისა, რომ მათგან არაერთი (მაგ. დაცვის უფლება)<sup>4</sup> ერთნაირად მიემართება როგორც სისხლის, ისე – ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას,

<sup>4</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 31-ე მუხლის მესამე პუნქტი.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში აღნიშნული გარანტიები არ აისახება. კოდექსი არ იცნობს მტკიცების ტვირთისა და მტკიცების სტანდარტს, უდანაშაულობის პრეზუმფციასა და სამართლიანი სასამართლოს შემადგენელ სხვა ფუნდამენტურ ინსტიტუტებს.<sup>5</sup> არაერთი კვლევა ადასტურებს ამ მიმართებით არსებულ პრაქტიკას, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს.<sup>6</sup>

შესაბამისად, სასამართლომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას არ უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმებით, რადგან ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა როგორც კონსტიტუციასთან, ისე – კოდექსზე უპირატესი ნორმატიული ძალის მქონე ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მოქმედებას ავრცელებს ისეთი ტიპის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზეც, რომლისთვისაც სანქციის სახედ გათვალისწინებულია პატიმრობა.<sup>7</sup> მოცემულ შემთხვევაში, [REDACTED] წარდგენილი სამართალდარღვევა სანქციის სახედ ითვალისწინებდა 15 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობას.<sup>8</sup> ამრიგად, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლო საკმარისად არ მიიჩნევს მხოლოდ პოლიციელის განმარტებას და სახელმწიფოს ავალდებულებს სადავო ინფორმაციის გადამოწმებას.<sup>9</sup> დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სასამართლო არასარწმუნოდ მიიჩნევს გამოძიებას, რომლის დასკვნები მხოლოდ მოწმე პოლიციელთა ჩვენებებს ეყრდნობა.<sup>10</sup> სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფომ უნდა მოიძიოს ნეიტრალური მტკიცებულებები, რადგან პოლიციის ოფიცერთა ჩვენებები შეიძლება თავდაცვითი ხასიათის იყოს.<sup>11</sup>

მოცემულ საქმეში, [REDACTED] დამკავებელ პირებს შეეძლოთ ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვება. პოლიციელებმა არ გადაიღეს სამხრე ვიდეო კამერით სავარაუდო სამართალდარღვევის ფაქტი, ასევე, არ ჩამოართვეს ახსნა-განმარტება საკარანტინე ზონაში მყოფ პირებს.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო მიუთითებს სამართალდარღვევის ფაქტის ნაწილობრივ აღიარების თაობაზე, სასამართლო არ მსჯელობს აღიარების გარდა საქმეში მტკიცებულებათა სტანდარტის შესახებ, სხვა ნეიტრალური მტკიცებულებები ადასტურებენ თუ არა ამ გარემოებას, საკმარისია თუ არა არსებული მტკიცებულებები ფაქტის დასადგენად და პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.

<sup>5</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 463–465.

<sup>6</sup> მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გამლიერების პროექტი (JILEP), „როგორც შევწყვიტოთ საქართველოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის არაკონსტიტუციური გამოყენება“, 2013, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://bit.ly/2AvwAG8>>

<sup>7</sup> ზილიბერბერგი (Ziliberberg) მოლდოვას წინააღმდეგ, 2005; ზაიცევის (Zaicevs) ლატვიის წინააღმდეგ, 2007; ნიკოლეტა გეორგე (Nicoleta Gherghe) რუმინეთის წინააღმდეგ, 23470/05, 2012; კემპბელი და ფელი (Campbell and Fell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1984 და ა.შ.

<sup>8</sup> ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი.

<sup>9</sup> ვირაბიანი (Virabyan) სომხეთის წინააღმდეგ, 40094/05, 2012.

<sup>10</sup> ოჩელკოვი (Ochelkov) რუსეთის წინააღმდეგ, 17828/05, 2013.

<sup>11</sup> ბარაბანშჩიკოვი (Barabanshchikov) რუსეთის წინააღმდეგ, 36220/02, 2009.

შედეგად, სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა ნეიტრალური მტკიცებულება, რომელიც გამყარებდა პოლიციელების განმარტებას და დაადასტურებდა [REDACTED] მიერ სამართალდარღვევის ჩადენას.

საქმეების განხილვისას, მტკიცებულებების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სამხრე ვიდეოკამერების გამოყენებასთან დაკავშირებული ხარვეზები. საპატრულო პოლიციელებს აქვთ უფლება და არა ვალდებულება, განახორციელონ ვიდეო-აუდიო ჩაწერა კანონმდებლობით დადგენილი წესით.<sup>12</sup> ვიდეო ჩანაწერის (ნეიტრალური მტკიცებულების) არარსებობისას და მტკიცებულებითა სტანდარტის არარსებობის პირობებში, კოდექსი მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების უპირატესი დაცვის მიზნებს არ ემსახურება.<sup>13</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთ რეკომენდაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულების განსაზღვრა წარმოადგენს.<sup>14</sup> ერთგვარი „დამნაშავეობის პრეზუმფციის“ პრაქტიკის დამკვიდრება და ნეიტრალური მტკიცებულების გარეშე პირის სამართალდამრღვევად ცნობა დამკვიდრებული სამწუხარო ტენდენციის გამოძახილია, რაც ცვლილებას საჭიროებს.<sup>15</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის გასული წლების ანგარიშებში<sup>16</sup> არაერთხელ გამახვილდა ყურადღება, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სამართალდამრღვევად ცნობისთვის კონკრეტული მტკიცებულებითი სტანდარტისა და მტკიცების ტვირთის არარსებობა განაპირობებს პირის სამართალდამრღვევად ცნობას სამართალდარღვევის ოქმის და ამავე ოქმის შემდგენი პოლიციელის ზეპირი განმარტების საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებების უმრავლესობა დაუსაბუთებელია დადგენილებები ეყრდნობა მხოლოდ სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმების მონაცემებს და სასამართლო სხდომაზე ოქმის შემდგენი სამართალდამცავი პირის განმარტებას. ყველა მტკიცებულება მოპოვებულია ერთი ორგანოს/პირის მიერ და მტკიცებულებათა ერთობლიობა მხოლოდ ფორმალურად არსებობს.

საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის წლების განმავლობაში შესწავლის შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველმა<sup>17</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, რადგან მიიჩნევს, რომ სისხლისსამართლებრივი ბუნების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები) საქმეებზე სამართალწარმოების პროცესში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დებულებები არ

<sup>12</sup> „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ვიდეო გადაღების ვალდებულება არსებობს მხოლოდ სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელებისას. იმავე კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პოლიცია უფლებამოსილია ფორმის ტანსაცმელზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დაამონტაჟოს, განათავსოს ფოტო და ვიდეო ტექნიკა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის N1310 ბრძანების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

<sup>13</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 466-467

<sup>14</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში, გვ. 66 იხ. <<https://bit.ly/2yVz93M>>

<sup>15</sup> დამატებით იხ. სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 465-466.

<sup>16</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში, გვ. 272; 2014 წლის ანგარიში, გვ. 304; 2015 წლის ანგარიში, გვ. 463-464.

<sup>17</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ზურაბ ჯაფარიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N1361) <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1936>>

შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებას: არ უზრუნველყოფს უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას, არ აკისრებს ოქმის შემდგენ ორგანოს/პირს მტკიცების ტვირთს, სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნეიტრალურ მტკიცებულებებთან დაკავშირებით სწორი სასამართლო პრაქტიკა გვხვდება სისხლის სამართლის საქმეებზე. მაგალითისთვის, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ 2017 წლის 10 ნოემბრის განაჩენში იმსჯელა საქმეზე, როდესაც სასამართლოს პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებისა და მსჯავრდებულის ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები წარედგინა, ხოლო სახელმწიფომ დაწესებულებაში არსებული ვიდეოკამერების ჩანაწერები არ მოიპოვა. მოსამართლემ გამამართლებელ განაჩენში მიუთითა, რომ „პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების ჩვენებები არ შეიძლება გაზიარებული და უტყუარად მიჩნეულ იქნეს ყოველგვარი ნეიტრალური მტკიცებულების გარეშე“.<sup>18</sup> მოსამართლემ მართებულად აღნიშნა, რომ „თანაბარი მტკიცებით ძალის მქონე ორ ერთგვაროვან მტკიცებულებებს შორის არსებით ურთიერთწინააღმდეგობისას საჭიროა წარმოდგენილ იქნეს სხვა მტკიცებულება“.<sup>19</sup>

აღნიშნული ნეიტრალური მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულება, ანუ მტკიცების ტვირთი, სრულად აკისრია სახელმწიფოს. შესაბამისად, მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ბრალდებამ არ წარმოადგინა ვიდეოჩანაწერები, რომელიც დაწესებულების თანამშრომლების ჩვენებების ნამდვილობას დაადასტურებდა და რომლის წარმოდგენის ვალდებულებაც სახელმწიფოს გააჩნდა.<sup>20</sup>

ზემოხსენებული მსჯელობა სრულად შეესაბამება კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ სამართლიანი სასამართლოს პრინციპებს. შესაბამისად, აუცილებელია ადმინისტრაციული სასამართლოების პრაქტიკის ცვლილება, რათა ადეკვატური რეაგირება მოყვეს ნეიტრალური მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულების შეუსრულებლობასა და პოლიციელთა მიერ სამხრე კამერების არგამოყენების ფაქტებს.

### **წინამდებარე საქმის ანალიზი**

საქმის მასალების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლომ პირი წვრილმანი ხულიგნობისთვის სამართალდამრღვევად ცნო ორი პოლიციელის ახსნა-განმარტებისა და ერთ-ერთი მათგანის მიერ შედგენილი ოქმების საფუძველზე. საგულისხმოა, რომ პოლიციელების განმარტებით, სასტუმროს დერეფანში ყოფნისას დაკეტილი ოთახიდან ესმოდათ გინების ხმა ოთახიდან ქუჩის მიმართულებით ფანჯრიდან, ხოლო ქვევით იყვნენ სხვა პოლიციელებიც.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისთვის პასუხისგებაში მიცემული პირის განმარტებით, ის ასრულებდა საკარანტინო ზონაში არსებულ ინსტრუქციას, თუმცა, ტესტის ჩატარებაზე უარის მიღების გამო გამოთქვამდა პროტესტს სასტუმროს დახურულ ოთახში, რომლის კარი დახურული იყო, ხოლო ფანჯრები სრულად არ იღებდა.

<sup>18</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის განაჩენი N1/3447-15 საქმეზე, გვ. 14.

<sup>19</sup> იხ. დასახელებული განაჩენი, იქვე.

<sup>20</sup> იხ. დასახელებული განაჩენი, გვ. 16-17.

აღნიშნული განმარტება არ წარმოადგენს სამართალდარღვევის ფაქტის აღიარებას, თუმცა სასამართლომ ხსენებულ გარემოებებში პროტესტის გამოხატვა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევად მიიჩნია მხოლოდ დაინტერესებული მხარის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენლების - პოლიციელების განმარტებების და იმავე წყაროდან მიღებული მტკიცებულების - პოლიციელის მიერ შედგენილი ოქმების საფუძველზე. აღნიშნული დამოკიდებულებით სასამართლოს მხრიდან შეიქმნა მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობის ილუზია.

წვრილმანი ხულიგნობის არსებობისთვის აუცილებელია, რომ პირმა საზოგადოებრივ ადგილებში განახორციელოს ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი ქმედება, და ამის აუცილებელი კუმულატიური პირობა არის ის, რომ ამ ქმედებით უნდა დაირღვეს საზოგადოებრივი წესრიგი და მოქალაქეთა სიმშვიდე.

წინამდებარე საქმეში, სადავო იყო სწორედ ის ფაქტი, [REDACTED] ქმედებამ გამოიწვია თუ არა საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევა. ამ საკვანძო საკითხთან დაკავშირებით კი თავად მოქალაქისა და დამკავებელი პოლიციელების პოზიციები არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. შესაბამისად, პოლიციას უნდა უზრუნველყო იმგვარი ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვება და სასამართლოს წინაშე წარდგენა, რომელიც დაადასტურებდა ან უარყოფდა [REDACTED] ქმედებით საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევის ფაქტი. სხვა შემთხვევაში იზოლირებულ პირად სივრცეში გამოხატული სიტყვიერი პროტესტი ვერ უნდა ჩათვლილიყო სამართალდარღვევად.

მოცემულ შემთხვევაში კი თბილისის საქალაქო სასამართლოში არ წარდგენილა ნეიტრალური მტკიცებულება, რომელიც სამართალდარღვევის ოქმში მითითებული ქმედებების ჩადენას დაადასტურებდა, მათ შორის, არც პოლიციელების სამხრე კამერებით გადაღებული ფაქტის ამსახველი/დამადასტურებელი ვიდეო ჩანაწერები, არც ქუჩაში მყოფი პოლიციელებისა და ოთახში მყოფი სხვა პირის ახსნა-განმარტება; სასამართლო განხილვისას არც შემთხვევის ადგილზე სხვა პირების: საკარანტინე ზონაში განთავსებული მოქალაქეების, სამედიცინო მუშაკების და სხვა პერსონალი დაკითხულა. მითუმეტეს, 2020 წლის 15 აპრილს ადმინისტრაციული საქმის განხილვის სხდომა დისტანციური რეჟიმში ჩატარდა და სხვა მოწმეების დისტანციურად დაკითხვა შესაძლებელი იყო კორონავირუსის პანდემიის გამო გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებული შეზღუდვების დაცვით.

შესაბამისად, ნეიტრალური მტკიცებულების არსებობის გარეშე პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება კონსტიტუციური სტანდარტის საწინააღმდეგოდ უნდა მივიჩნიოთ.

## **დასკვნა**

ნეიტრალური მტკიცებულების გარეშე, მხოლოდ პოლიციელების ჩვენებებზე დაყრდნობით პირთა სამართალდამრღვევად ცნობა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

ამასთან, ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში სამხრე კამერების გამოყენების ვალდებულება ორი პარალელური, თუმცა თანაბრად მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად გაიწერა. სამხრე კამერები

უზრუნველყოფენ სასამართლოსთვის ნეიტრალური მტკიცებულების წარდგენას და მნიშვნელოვნად ამცირებენ თვითნებობის რისკებს.

აღნიშნულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება ეჭვგარეშედ გამოიწვევს მნიშვნელოვან დადებით გავლენას სასამართლო პრაქტიკაზე. ამჟამად დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შეცვლით სააპელაციო სასამართლო ხელს შეუწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების კონსტიტუციური სტანდარტის დამკვიდრებას, პოლიციის მიერ სამხრე კამერების გამოყენების მაჩვენებლის ზრდას.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

ბ- 

სახალხო დამცველი

